Data 24 dicembre 2015 ambtbilisi.esteri.it



# L'Università telematica internazionale UNINETTUNO e l'Ong Minerva stanno per iniziare i corsi a distanza nelle istituzioni regionali della Georgia

Il progetto "NOVUS LAURUS INTERNATIONAL 2015" orientato sulle "Tecnologie Innovative, sull'Educazione e sullo Sviluppo Regionale", si sta svolgendo con successo. Per la prima fase è stata selezionata la Akaki Tsereteli State University di Kutaisi.

Secondo G. Khechinashvili, "Il progetto prevede di adottare tutte le discipline, anche se la prima fase prevede lo studio di programmi accademici di Public Health e le lingue straniere, tra cui italiano, inglese e greco". Di notevole importanza il corso a distanza di lingua georgiana, rivolto soprattutto alle minoranze etniche ed agli stranieri che lavorano in Georgia.

Il 29 settembre si è tenuto presso la sala della "Prima Repubblica" del Parlamento in Tbilisi, Il workshop internazionale Italo-Georgiano su "Approcci innovativi nella formazione e sullo sviluppo professionale", sostenuto dai parlamentari: G. Khechinashvili e T. Maisuradze ed organizzato dalla ONG "Minerva", di cui fa parte il Polo Tecnologico UNINETTUNO di Tbilisi.

Hanno partecipato parlamentari, rettori e professori di UTIU, ATSU, illustri professori esperti di Public Health, l'Ambasciatore d'Italia in Georgia, S.E. Antonio Enrico Bartoli e rappresentanti della Delegazione Europea.

Per vedere le ulteriori informazioni

http://forumi.ge/index.php?option=com_content&task=view&id=25643&Itemid=177

ძიება...

**ჩვენს შესახებ**

- პოლიტსაბჭო
- თბილისის ორგანიზაციები
- რეგიონული ორგანიზაციები
- საპარლამენტო ფრაქცია
- საკრებულოს წევრები
- კონტროლის სამსახური
- სარევიზიო კომისია
- ახალგაზრდული ფორუმი
- ფინანსური ანგარიში
- წესდება
- ისტორია
- სიმბოლიკა
- არქივი

**მედია საცავი**











ჩემი კრედოა, ვიყო მართალი ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე; არ ვემსახურო ავსა და ბოროტს; არ ვაკეთო ის, რისიც არ მჯერა; შემლებისდაგვარად ვებრძოლო სიყალბეს ყველგან და ყველაფერში; არასდროს მივეცე თვითკმაყოფილებას და მუდამ ვეძიო სრულყოფილება; ვიყო ბედის მადლიერი ბოძებულისთვის და ბოლომდე დავიხარჯო სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის სამსახურში...

## საქართველო-იტალიის სემინარი "ეროვნული ფორუმის" ფრაქციის ორგანიზებით

29 სექტემბერს **"ეროვნული ფორუმის"** საპარლამენტო ფრაქციის მხარდაჭერითა და ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის თბილისის სასახლეში **საქართველო-იტალიის სემინარი** გაიმართა სახელწოდებით "ინოვაციური მიდგომები განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში".



სემინარის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტის, **"Novus Laurus International 2015"**-ის დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისთვის გაცნობა.

პროექტი "Novus Laurus International 2015", რომელსაც საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია "მინერვა" ახორციელებს, მიზნად ისახავს საერთაშორისო ტელემატური უნივერსიტეტის (UNINETTUNO) მიერ აკადემიური და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურ სწავლებას საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებში.

რეგიონულ უნივერსიტეტთა შორის პროექტის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეირჩა. დასაწყისში უნივერსიტეტში იგეგმება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სასწავლო პროგრამისა და უცხო ენების (იტალიურის, ინგლისურის, ბერძნულის) სწავლება.

საერთაშორისო ტელემატური უნივერსიტეტი წარმოადგენს იტალიაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებით საერთაშორისო მასშტაბით ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებას და გასცემს ევროპის კავშირში აკრედიტებულ დიპლომს. უნივერსიტეტი საქართველოში წარმოადგენილია მისი ტექნოლოგიური ცენტრის, "მინერვას" მეშვეობით.



სემინარს უძღვებოდნენ "ეროვნული ფორუმის" საპარლამენტო ფრაქციის ფრაქციის წევრები, **გიორგი ხეჩინაშვილი** და **თემურ მაისურაძე**, ხოლო დამსწრეებს შორის იყვნენ პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, მთავრობის წარმომადგენლები, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პროფესორები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

გამომსვლელებს შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე, იტალიის ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი, ევროკავშირის მისიის წარმომადგენელი ანტონიო ლო პარკო, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ღავთაძე, საერთაშორისო ტელემატური უნივერსიტეტის აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლა პარავატი, არასამთავრობო ორგანიზაცია "მინერვას" დირექტორი ჯოვანი ჯაკომანტონიო და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, გიორგი კამკამიძე და მამუკა ჯიბუტი.

სემინარის ვიდეოჩანაწერი:





**სიახლეების გამოწერა**

სახელი:

ელფოსტა:

გამოწერა | გაუქმება

შესრულება

**არქივი**

| « | თებერვალი 2016 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შა | კვ |
| 1 | 2 | **3** | 4 | **5** | 6 | **7** |
| **8** | **9** | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| **15** | 16 | 17 | 18 | **19** | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | | | | | | |

Find us on Facebook

RSS 2.0